საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სოციალური პარტნიორების წარმომადგენლების სამმხრივი შეხვედრის ოქმი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

26.04.2013

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ნატრიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
3. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
4. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
5. დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
6. კახა ბაინდურაშვილი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
7. თამარ სამხარაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
8. მაკა კურდღელია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
9. ანა მჭედლიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
10. გვანცა ტაბატაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

შეხვედრის დღის წესრიგი:

1. შეხვედრის გახსნა
2. ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტება;
3. საგანმანათლებლო ჩიხსა და სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები;
4. შრომის ბაზრის კვლევის საჭიროებების განხილვა;
5. შეხვედრის შეჯამება.

სამმხრივი შეხვედრა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა და სოციალურ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისათვის.

ქეთევან ნატრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი და სთხოვა, მოსაზრებები წარმოედგინათ ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების თაობაზე.

ირაკლი პეტრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიმართა, რომ სოციალურ პარტნიორობას არეგულირებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 98-ე კონვენცია, რომელიც როგორც ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, სოციალური პარტნიორობის რეგულირება ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 98-ე კონვენციის თანახმად. აღნიშნული კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და შესაბამისად, სოციალური პარტნიორობის უზრუნველყოფის კუთხით, ქვეყანამ და მისმა უწყებებმა სწორედ კონვენციის დებულებებით უნდა იხელმძღვანელონ.

ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტება გულისხმობს სამი მხარის წარმომადგენლობას საბჭოს შემადგენლობაში: სახელმწიფოს, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული დამსაქმებელთა გაერთიანებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანების. ვინაიდან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება წარმოადგენენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ ორგანიზაციებს, ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სწორედ ეს ორგანიზაციები შესაბამისი კვოტით. საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა/ოპტიმალური რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ, მაგრამ თითოეულ მხარე წარმოდგენილი უნდა იყოს წევრთა თანაბარი რაოდენობით და გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კონსესუსის გზით. ბუნებრივია, ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობა ეკისრება სამინისტროს, მაგრამ საბჭოს პარიტეტული წესით დაკომპლექტების შემთხვევაში, სოციალური პარტნიორები გაიზიარებენ მორალურ პასუხისმგებლობას და იქნებიან მეტად პროდუქტიულები.

ირაკლი პეტრიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში დარგობრივი ორგანიზაციების მუშაობას, რადგან თვლის, რომ დარგობრივმა ასოციაციებმა უნდა იმუშავონ კონკრეტული დარგის განვითარების საკითხებზე პროფესიული განათლების ჭრილში და არა პროფესიული განათლების პოლიტიკის საკითხებზე.

ირაკლი პეტრიაშვილის მოსაზრებას დაეთანხმა **ელგუჯა მელაძე** და აღნიშნა, რომ პარიტეტული პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს არა მხოლოდ საბჭო, არამედ სამუშაო/თემატური ჯგუფებიც. მთავრობამ უნდა განსაზღვროს კვოტა და სოციალურმა პარტნიორებმა ამ კვოტის ფარგლებში თავად გადაწყვიტონ ამა თუ იმ კანდიდატურის წარდგენა.

აზრი გამოთქვა **დანიელ დავითაშვილმა** და საჭიროდ მიიჩნია საბჭოს შემადგენლობაში კოლეჯების წარმომადგენლობის გაზრდა რეგიონებში არსებული დაწესებულებების გათვალისწინებით, რასაც არ

დაეთანხმნენ პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები. **ირაკლი პეტრიაშვილმა** განმარტა, რომ კოლეჯი შედგება ხელმძღვანელისგან, მასწავლებლებისგან და სტუდენტებისგან. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი თავად არის დამსაქმებელი, პედაგოგები გაწევრიანებულები იქნებიან პროფესიულ კავშირებში, სტუდენტები არ იმყოფებიან შრომით ურთიერთობაში და ამდენად, სოციალური პარტნიორობის ფარგლებში მათი წარმომადგენლობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ირაკლი პეტრიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტები არ არიან სოციალური პარტნიორები, მათი საქმიანობა და მუშაობა სხვა ფორმატში უნდა იქნას გათვალისწინებული.

გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმა **კახა ბაინდურაშვილი** და დასძინა, რომ სოციალური პარტნიორობის ფორმატი არ ითავლისწინებს ასევე სხვადასხვა დარგობრივი ასოციაციის ჩართულობას. ასოციაციებიც ასევე სხვა ფორმატით უნდა იყვნენ ჩართულები საკონსულტაციო პროცესში. გარდა ამისა, საქართველოში 150-ზე მეტი დარგობრივი ასოციაციაა, რა ნიშნით უნდა მოხდეს მათი შერჩევა? დარგობრივმა ექსპერტებმა და ასოციაციებმა უნდა იმუშავონ შესაბამისი დარგის კვალიფიკაციებისა და სტანდარტების განვითარების საკითხებზე.

აზრი გამოთქვა **ქეთევან ნატრიაშვილმა** და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, გადასახედია არა მხოლოდ საბჭოს შემადგენლობა, არამედ დებულებაც, შესამუშავებელია სოციალური პარტნიორების როლები და პასუხისმგებლობები. მომდევნო კვირის განავლობაში სამინისტრო იმუშავებს საბჭოს დებულებაზე და თუ სოციალური პარტნიორებიც წარმოადგენენ წინადადებებს, კარგი იქნება შეჯერებული დოკუმენტის შესადგენად, რომელიც აუცილებლად დაეგზავნება ყველა მხარეს განსახილველად.

შეხვედრის მონაწილეთა მიერ გამოითქვა აზრი, რომ სხვადასხვა სამინისტროებში (ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის) ამ ტიპის საბჭოების ფუნქციონირების პრაქტიკა უკვე დანერგილია და სასურველია მათი გამოცდილების გაზიარება.

დანიელ დავითაშვილმა ქეთევან ნატრიაშვილს გადასცა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ევროპაში არსებულ სოციალური პარტნიორობის მოდელებს და აღნიშნა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს ფუნქციონირება ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. მნიშვნელოვან დამუშავებას საჭიროებს საბჭოს დებულება, რომელშიც ნახსენები არ არის პროფესიული კავშირები და საბჭოს მუშაობაში მათი მონაწილეობა.

დამსაქმებელთა ასოციაციის მხრიდან აღინიშნა, რომ უფრო მართებული იქნება თუ საბჭო იფუნქციონირებს პრემიერ-მინისტრის აპარატთან, რასაც შეხვედრის სხვა მონაწილეებიც დაეთანხმნენ.

ქეთევან ნატრიაშვილმა დასვა კითხვა, პარიტეტული წესით დაკომპლექტების შემთხვევაში, სოციალური პარტნიორები რა პრინციპით განსაზღვრავენ კანდიდატურებს. რაზეც **ირაკლი პეტიაშვილმა** უპასუხა, რომ საბჭოს მუშაობა შეიძლება ორგავარად წარიმართოს:

1. როდესაც ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობა წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებულია;

2. დღის წესრიგის თემატიკის მიხედვით ხდება საბჭოს წევრების განსაზღვრა, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის საბჭოს მუშაობის ეფექტურობას.

მიხეილ კორძახიამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული, იმოქმედოს რატიფიცირებული კონვენციის მიხედვით. აღნიშნულ კონვენციაში წერია, რომ სოციალური პარტნიორები უნდა იყვნენ ძლიერი ორგანიზაციები, რომლებსაც ამავე დროს საერთაშორისო აღიარება აქვთ. სამინისტრომ უნდა იმოქმედოს სწორედ ამ ნორმის/ვალდებულების შესაბამისად.

გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმა **კახა ბაინდურაშვილი** და აღნიშნა, რომ კლასიკური გაგებით სოციალურ პარტნიორებს სწორედ შეხვედრის მონაწილე მხარეები წარმოადგენენ.

დანიელ დავითაშვილმა წამოჭრა საკითხი საბჭოს თემატური ჯგუფების განახლების შესახებ, რასაც არ დაეთანხმა **კახა ბაინდურაშვილი,** რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს დაკომპლექტებისა და მისი დებულების შემუშავებამდე, თემატური ჯგუფების ფორმირება ნაადრევად მიაჩნია. აღნიშნული პოზიცია გაზიარებულ იქნა შეხვედრის მონაწილეების მიერ.

შეხვედრის მერე საკითხთან დაკავშირებით, ყველა მხარე შეთანხმდა, რომ არსებული კანონი გადასამუშავებელია და სოციალური პარტნიორები მზად არიან, საკუთარი წვლილი შეიტანონ მის სრულყოფაში. **ქეთევან ნატრიაშვილმა** შეხვედრის მონაწილეებს სთხოვა მომდევნო კვირის განავლობაში კიდევ ერთი სამმხრივი შეხვედრის მოწყობა სისტემის ახალი მოდელის, განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. აღნიშნული შეთავაზება მოწონებულ იქნა შეხვედრის მონაწილეთა მიერ.

ქეთევან ნატრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაგეგმილი რეფორმის გამო, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის ერთი წლით გადავადების თაობაზე, როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს.

შეხვედრის მესამე საკითხთან დაკავშირებით, **ქეთევან ნატრიაშვილმა** შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ ევროკავშირის ფინანსური დახმარებით მიმდინარეობს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია რეგიონებზე და შედეგები იქნება მიმდინარე წლის ივნისისათვის. კვლევის ფარგლებში, გამოიკითხება 800-მდე საწარმო. ასევე, ბაზრის კვლევა დაგეგმილია ,,ათასწლეულის განვითარების ფონდის" მიერ სოციალურ და გენდერულ ჭრილში და ფოკუსირებულია ტექნიკურ მიმართულებებზე.

კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, აღნიშნული კვლევების შედეგები საინტერესოა მოკლევადიან პერსპექტივაში. რამდენიმე დონორმა შემოგვთავაზა კომპლექსური კვლევის მეთოდოლოგია, რაც გაცილებით რთულია, მაგრამ შედეგიანი.

მიხეილ კორძახიამ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის საკითხი ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ პირველ რიგში უნდა განიხილოს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა სტრატეგია, რომელიც დიდი რისკების მატარებელია და სასურველია, რომ ამ სტრატეგიის განხილვა საბჭოს ფორმატშიც გაიმართოს.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ:

1. სამინისტროს კოორდინაციით, ერთი კვირის ვადაში დაამუშავებენ ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების პროექტს;
2. დამატებით შეხვედრას გამართავენ საკანონმდებლო ცვლილებებისა და პროფესიული განათლების სისტემის ახალი მოდელის განსახილველად;
3. საბჭოს თემატური ჯგუფები ფუნქციონირებას გააგრძელებენ არსებული წესითა და შემადგენლობით, საბჭოს შემადგენლობისა და დებულების ცვლილებამდე.